

სახელმწიფოს პოლიტიკა კრიზისულ ვითარებებში მოქალაქეების მიმართ

თეა ჯოჯუა

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თეა ჯოჯუა

თბილისი, 5 ივლისი 2015

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოაჩენს სახელმწიფო პოლიტიკის იმ ნაწილს, რომელიც მოქალაქეების უსაფრთხოებაზეა ორიენტირებული კრიზისულ ვითარებებში. ნაშრომში საქართველოს ხელისუფლების ეს პოლიტიკა არის კითხვის ქვეშ დასმული არა მხოლოდ მისი აქტუალობის გამო, არამედ იმ აუცილებლობის გამოც, რომელიც საერთაშორისო მასშტაბის პროცესებში ჩართვას მოითხოვს საქართველოს მხრიდან.

სამაგისტრო ნაშრომი იხსნება შესავალი ნაწილით, სადაც საქართველოში მომხდარი კონკრეტული კრიზისული შემთხვევის ფონზე წარმოდგენილია ამ ნაშრომის პრობლემატიკა და გაშლილია მისი შესწავლის სტრუქტურული მონახაზი.

პირველ თავში მოცემულია კრიზისული ვითარების განმარტება და განსაზღვრულია ჩვენი ინტერესის სფერო; საუბარია იმ საფრთხეებზე, რომელთა წინაშეც ამჟამად დგას ან მომავალში აღმოჩნდებიან საქართველოს მოქალაქეები; ასევე მოყვანილია ის რეგულაციები და პროგრამები, რომლებითაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელმძღვანელობს კრიზისების დასაძლევად.

მეორე თავში შესწავლილია ის მართვის სისტემა, რომლითაც კრიზისულ ვითარებებში საქართველოს ხელისუფლება ხელმძღვანელობს და კითხვარის სახით წარმოდგენილია მოქალაქეთა დამოკიდებულება ამგვარი მართვის მიმართ.

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება რეკომენდაციებითა და დასკვნით, სადაც შეთავაზებულია მართვის სისტემის გაუმჯობესებული ვარიანტი, რომელიც პრევენციული ზომების მიღებაზე, კრიზისების მართვის ცენტრის სამოქმედო გეგმის გაწერასა და მოქალაქეებთან სახელმწიფოს მჭიდრო ურთიერთობაზეა ორიენტირებული.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოქალაქეების უსაფრთხოება, კრიზისების მართვის ცენტრი, მდგრადი ქალაქი.

მადლობა

მსურს, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო სამაგისტრო ნაშრომის „სახელმწიფოს პოლიტიკა კრიზისულ ვითარებებში მოქალაქეების მიმართ“ ერთ დოკუმენტად ჩამოყალიბებაში.

მადლობა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ არჩილ აბაშიძეს, მუშაობის პროცესში საინტერესო რჩევების მოწოდებისა და ნაშრომის თავების საგულდაგულოდ წაკითხვისათვის;

მადლობა კურსელებს, რომლებმაც საინტერესო ინფორმაციები მომაწოდეს სამაგისტრო ნაშრომში წამოჭრილი საკითხის ირგვლივ და გასაუბრებაზე დამთანხმდნენ.

მადლობა თბილისის მოქალაქეებს ნაშრომის გასამდიდრებლად შემუშავებული კითხვარის შევსებისათვის.